საქართველოს მუდმივი
წარმომადგენლობა გაერთიანებული
ერების ორგანიზაციასთან

PERMANENT MISSION OF GEORGIA
TO THE UNITED NATIONS

42369-19-3-201809070205

№ 42369-19
07/09/2018

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს
ბატონ **ვახტანგ მახარობლიშვილს**

ასლი: საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის
დირექტორს ქალბატონ **თეა მაისურაძეს**

ბატონო ვახტანგ,

გაცნობებთ, რომ მ.წ. 6 სექტემბერს მონაწილეობა მივიღე გაეროს გენერალური ასამბლეის 72-ე სესიის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელის მიერ გამართულ შეხვედრაში რეგიონული ჯგუფების თავმჯდომარეებთან. აღნიშნულ შეხვედრაზე საქართველოს წარმოვადგენდი მიმდინარე წლის სექტემბერში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების რეგიონული ჯგუფის თავმჯდომარე ქვეყნის რანგში.

შეხვედრის ძირითად მიზანს წარმოადგენდა გაეროს გენერალური ასამბლეის პრეზიდენტის ოფისის მხრიდან ინფორმაციის გაზიარება მიმდინარე წლის სექტემბერში დაგეგმილი მაღალი დონის ღონისძიებების შესახებ, კერძოდ კი ტუბერკულიოზის წინააღმდეგ ბრძოლის, არაგადამდებ დაავადებათა შესახებ დაგეგმილ მაღალი დონის შეხვედრებსა და ნელსონ მანდელას მშვიდობის სამიტთან დაკავშირებით.

შეხვედრაზე ხაზგასმულ იქნა წევრი ქვეყნების დელეგაციების უდიდესი ინტერესი ზემოხსენებულ შეხვედრებში მონაწილეობისა და სიტყვით გამოსვლის თაობაზე. მოწოდებული ინფორმაციით, მ.წ. 26 სექტემბერს ტუბერკულიოზთან ბრძოლის თემაზე დაგეგმილ შეხვედრაზე სიტყვით გამოსვლისთვის რეგისტრირებულია 101 ქვეყნის დელეგაცია, მათ შორის 34 სახელმწიფოს მეთაურებისა და მთავრობის მეთაურების დონეზე. მ.წ. 27 სექტემბერს არაგადამდებ დაავადებათა შესახებ დაგეგმილ მაღალი დონის შეხვედრაში სიტყვით გამოსვლის სურვილი დაფიქსირებული აქვს 119 ქვეყნის დელეგაციას, მათ შორის 42 ქვეყანა დარეგისტრირებულია სახელმწიფოს მეთაურებისა და მთავრობის მეთაურების დონეზე. რაც შეეხება მ.წ. 24 სექტემბერს დაგეგმილ ნელსონ მანდელას მშვიდობის სამიტს, აღნიშნულ შეხვედრაზე სიტყვით გამოსვლისთვის წარდგენილია 112 სახელმწიფოს წარმომადგენელი.

One United Nations Plaza, 26th floor, New York, NY 10017, USA
ტელ./Tel: +1 (212) 759-1949; ფაქსი/Fax: +1 (212) 759-1832; ელ-ფოსტა/E-mail: geomission.un@mfa.gov.ge

მონაწილეთა მაღალი რაოდენობის გათვალისწინებით, საუბარი ასევე შეეხო ალტერნატიული საშუალებების ძიების საკითხს. გაეროს კონფერენციების მენეჯმენტის დეპარტამენტის წარმომადგენლის ინფორმაციით, რიგი ტექნიკური ფაქტორების გამო შეუძლებელი იქნება ზემოხსენებული შეხვედრების ხანგრძლივობის გაზრდა სიტყვით გამომსვლელთა დიდი რაოდენობის შესაბამისი დროით უზრუნველყოფისთვის. ამ ეტაპზე ტუბერკულიოზის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ შეხვედრისთვის გათვალისწინებულია 4 საათი, ხოლო არაგადამდებ დაავადებათა შესახებ შეხვედრის ხანგრძლივობაა 4 საათი და 30 წუთი. გაეროს მიერ შეხვედრების ხანგრძლივობის გაზრდა ვერ ხერხდება ფინანსური რესურსებისა და შეხვედრების თარგმანით უზრუნველყოფის აუცილებლობის გამო.

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სუბ-რეგიონული ჯგუფის თავმჯდომარეებს ეთხოვათ, რომ წევრმა ქვეყნებმა განიხილონ მცირე რეგიონული ჯგუფების სახელით ერთობლივი განცხადებებით გამოსვლა. ასევე ხაზი გაესვა დელეგატების მიერ ინდივიდუალური გამოსვლებისას 3 წუთიანი დროის ლიმიტის დაცვის აუცილებლობას.

როგორც თქვენთვის ცნობილია, გაეროს გენერალური ასამბლეის პრეზიდენტის წერილის საპასუხოდ, მ.წ. 17 ივლისს ბატონი დავით სერგეენკო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ნომინირებულ იქნა ტუბერკულიოზის წინააღმდეგ ბრძოლისა და არაგადამდებ დაავადებათა შესახებ დაგეგმილ მაღალი დონის შეხვედრებზე სიტყვით გამოსვლისთვის. აღნიშნული ნომინირება განხორციელდა მაქსიმალურად ადრეულ ეტაპზე, დაწესებული ვადების დაცვით აღმოსავლეთ ევროპის რეგიონული ჯგუფისთვის გამოყოფილ ადგილებზე. რეგიონების მიხედვით წინასწარ გათვალისწინებული კვოტების მიუხედავად, გაერო ამჟამად დგას სახელმწიფოს მეთაურებისა და მთავრობის მეთაურების დონეზე წარდგენილი დიდი რაოდენობით სპიკერების გამოსვლის დროით უზრუნველყოფის აუცილებლობის წინაშე, რაც ბუნებრივია ამცირებს მინისტრების დონეზე გამოსვლის შესაძლებლობას დროის სიმცირის გამო. შესაბამისად, მაღალი დონის შეხვედრების ფარგლებში ტოვებს სახელმწიფოთა მეთაურებისა და მთავრობის მეთაურების დონეზე გამოსვლის მეტ ალბათობას.

ზემოხსენებულ შეხვედრაზე, როგორც საქართველოს, ასევე აღმოსავლეთ ევროპის ჯგუფის ქვეყნების ინტერესების დაცვის მიზნით, აღვნიშნე თანაბარი რეგიონული პრინციპით გამომსვლელთა გადანაწილების აუცილებლობა წინასწარ გამოყოფილი რეგიონული კვოტების საფუძველზე, რაც გულისხმობს განაწილებული ადგილების სრულად ათვისებას თითოეული რეგიონის მიერ.

შეხვედრის დასასრულს გაეროს გენერალური ასამბლეის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ წევრ-სახელმწიფოებს უახლოეს პერიოდში მიეწოდებათ წერილი მოსამზადებელ პროცესში უკვე განხორციელებული სამუშაოებისა და არსებული მდგომარეობის შესახებ.

ამასთან, გაცნობებთ, რომ გაეროს გენერალური ასამბლეის პრეზიდენტის ოფისმა დღეს წერილობითი სახით დაადასტურა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, ბატონი დავით სერგეენკოს დანიშვნა ტუბერკულიოზის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე მაღალი დონის სესიის პარალელურად დაგეგმილი პანელის თანა-თავმჯდომარის პოსტზე, რომელსაც მინისტრი წარუძღვება ნიგერიის პრეზიდენტთან ერთად. გიგზავნით აღნიშნული წერილის ასლს.

ამასთან, გაცნობებთ, რომ დღეს მონტენეგროს მიერ არაგადამდებ დაავადებათა შესახებ დაგეგმილ მაღალი დონის შეხვედრაზე გამომსვლელად წარდგენილ იქნა მონტენეგროს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა, რომელიც ამ ეტაპზე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების რეგიონული ჯგუფიდან პირველი კანდიდატია მთავრობის მეთაურის დონეზე.

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, გთხოვთ, განიხილოთ ტუბერკულიოზის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე დაგეგმილ მაღალი დონის შეხვედრაზე ან არაგადამდებ დაავადებათა შესახებ მაღალი დონის შეხვედრაზე საქართველოს მხრიდან პრემიერ-მინისტრის დონეზე სიტყვით გამოსვლის შესაძლებლობა.

გთხოვთ, უზრუნველყოთ აღნიშნული ინფორმაციის შესაბამისი უწყებებისთვის მიწოდება.

დანართი: 1 გვერდი

პატივისცემით,
კახა იმნაძე

მუდმივი წარმომადგენელი